



ქართული ტვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში¹

1

ქართული ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუხომელი, მეცნიერული თვალსაზრისით, ამ ლიტერატურის მნიშვნელობა, იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტიები; მის ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, გამოვლინებულია უდავო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა. უძველეს ქართულ ლიტერატურას, მეთორმეტე საუკუნეებდე მაინც, მტკიცე კავშირი და ურთიერთობა პქონდა წინააზიისა და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, განსაკუთრებით კი — ბერძნულ-ბიზანტიურთან. ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულა და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა.

ქართული ლიტერატურის ასეთი მნიშვნელობა მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან შეიგნეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომელთაც წინათ არავითარი წარმოდგენა ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე არ გააჩნდათ. 1903 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე მოკლე წინასწარი ანგარიში 6. მარისა სამეცნიერო მოგზაურობის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც გადარჩენილა და შემონახულა ძველი ქართული ხელნაწერების უძლიდრესი კოლექციები. როცა ეს ანგარიში გაიცნეს დასავლეთ-ევროპის სამეცნიერო წრეებში, ცნობილმა ისტორიკოსმა, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ჰარნაკმა პრუსიის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში მოათავსა შემდეგი სიტყვები: „ამ ანგარიშიდან

¹ ქ. კეჭლიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955. გვ. 1-11.

პორნელი კეპელიძე

ნათლადა ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უძველეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩენდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძეელი კულტურით მშური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლო მისი საუნჯეო?“

ჩვენ დღეს მიზნად არ ვისახავთ დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ ლიტერატურის მნიშვნელობასა და რაობაზე ზოგადად, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ მხოლოდ ერთს პრობლემაზე; ეს პრობლემაა ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი, კერძოდ — ძეელი ქართული ლიტერატურის წვლილი ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიზანტიური კულტურა ერთ დროს მსოფლიო კულტურის როლში გამოდიოდა: საშუალო საუკუნეებში ეს კულტურა აპოზიტურებდა ნიადაგს არა მარტო წინააზიის ქვეყნების ქრისტიანული კულტურისა, არამედ დასავლეთ-ევროპისასაც. როგორც არ უნდა მიჩქმალონ ევროპის ბურჟუაზიულმა მეცნიერებმა ამ კულტურის მნიშვნელობა, მათ არ შეუძლიათ იმისი უარყოფა, რომ, სხვა პირობებთან ერთად, ამ კულტურამ ნიადაგი შეუმზადა ევროპის განახლებასა და რენესანსს. აქედან გამომდინარეობს: თუ ქართულ ლიტერატურას რაიმე დამსახურება მიუძღვის ბიზანტიური მწერლობის წინაშე, მას ერთგვარი დამსახურება ევროპის კულტურის წინაშეც ჰქონია.

ცნობილია, რომ ბერძნები თავის თავს, როგორც კულტურის მატარებელს, „ელინს“ უწოდებდნენ, სხვებს კი, კერძოდ ქართველებსაც, — „ბარბაროსებს“. ნაციონალური თვითშეგნება ქართველებისა მათგან თხოულობდა ამ სათაკილო სახელწოდების ჩამოშორებას და კულტურულად ბიზანტიელ ბერძნებთან გათანასწორებას. ამიტომ მათ მიზნად დაისახეს მთლიანად ამოწურონ ბიზანტიური ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, ერთი სიტყვით — კულტურა. ამ მიზნით ითარგმნება ღირსშესანიშნავი თხზულებები თეოლოგიდან, ფილოსოფიიდან და მეცნიერების სხვა დარგიდან, როგორიცაა: იურისპრუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, განსაკუთრებით კი ასტრონომია და ისტორია. მოკლე დროში ამ მიმართულებით ისეთი ეფექტი მივიღეთ, რომ ქართველები სრული შეგნებით ამბობდნენ: ჩვენმა მწიგნობრებმა და მოღვაწეებმა თავიანთი თარგმანებით „ნაკლულოვანება ენისა

ქართული ცვლილი პიზანტიურ ლიტერატურაში

ჩუენისა აღავსეს და რომელნი ესე ბარბაროზად წოდებულ ვიყვენით ელინთა მიერ, უსწავლელობისათვს და უმეცრებისა ჩუენისა, მათ-თანავე აღგურაცხნეს სიბრძნითა თვისითა“.

ეს, რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოოთ, თითქოს ქართველები მარტო მთარგმნელები იყვნენ და თავისი საკუთარი, ორიგინალური ლიტერატურაში არაფერი შეუქმნიათ. რასაკვირველია, შეუქმნიათ და ძალიან ბევრიც, დიდმნიშვნელოვანი! ეს ორიგინალური შემოქმედება, რამდენადაც ის, ქართული სოციალ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების პირობებში, მატარებელია ზოგად-ქრისტიანული იდეოლოგიისა, თავისებური წვლილია ბიზანტიური მწერლობის საგანძურში; მით უმეტეს, რომ დღეს სადაც არავისთვის არ არის, რომ ბიზანტინიზმის, როგორც გარკვეული კულტურული ტიპის, აღმოსავლურ ინგრედიენტთა შორის ქართულ ელემენტებსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული პრობლემის წამოყენებისას, ჩვენ მაინც მხედველობაში გვაქვს არა ორიგინალური ქართული ლიტერატურა, არამედ ნათარგმნი ბერძნულიდან. მაშასადამე, საკითხი ასე ისმის: შემოუნახავს თუ არა ბერძნულიდან ნათარგმნ ქართულ ლიტერატურას ისეთი მასალები, რომელნიც ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობის ისტორიის ლაკუნებს ავსებენ? დიახ, საკმაოდ ბევრი და მეცნიერულად მნიშვნელოვანი!

ამის ნათელსაყოფად ჩვენ მოგვიხდება დარგობრივად მიმოვიხილოთ ბიზანტიის თეოლოგიური ლიტერატურა, ვინაიდან ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი თეოლოგიურ მწერლობაშია გამომჟღავნებული, საერთო მხატვრული ლიტერატურა, მსგავსი ქართულისა, ბიზანტიამ არ იცის.

ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა ბერძნული ბიბლიური ტექსტის (სეპტანტიის) რესტავრაცია, მისი პირვანდელი, დღეს წარყვნილი სახის აღდგენა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ბიბლიას, როგორც უძველესს, ლუკიანე ანტიოქელის (IV ს.) რეცენზიიდან მომდინარეს, თან ახალი აღთქმის წიგნებში ისეთი ელემენტების შემომნახველს, რომელნიც ე. წ. კესარიულ რედაქციასთან არიან დაკავშირებულნი. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ საკითხი ქართული ბიბლიური ტექსტის შესახებ სერიოზული კვლევა-ძიების საგნადაა დღეს ქცეული მეცნიერებაში, მისგან მოელიან დიდ დაწმარებას დასახელებული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.²

² კ. ჰემლიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I³, გვ. 383-400.

ბიბლიოლოგიასთან მტკიცე კავშირშია ე. წ. ეგზეგეტიკურ-ბიბლიური ტექსტის კომენტირება. ეს დარგი მწერლობისა მდიდრადაა წარმოდგენილი ბიზანტიის ლიტერატურაში, აქედან ქართულშიაც, კინაიდან არაფერი ლირსშესანიშნავი ამ დარგში ქართველებს გადმოუღებელი არ დარჩენიათ.

ჯერ კიდევ 1901 წელს აკად. ნ. მარმა აღმოჩინა უძველეს ქართულ თარგმანში იპოლიტე რომაელის (III ს.) რამდენიმე, დღეს უკვე დაკარგული, ეგზეგეტიკური შრომა, რომელთაგან ერთი — „თარგმანებად ქება-ქებათავსავ“ — გახდა საგანი მისი სადოქტორო დისერტაციისა.³ ამ თხზულების გამოცემამ ყუმბარასავით იფეთქა სამეცნიერო წრეებში, რადგანაც ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო მოულოდნელი აღმოჩენა, ნამდვილი სიურპრიზი, რომელიც იპოლიტეს შრომათა დღესდღეობით ცნობილ რიცხვს ხუთი ნაწარმოებით ადიდებდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აღმოჩენა ერთი ეგზეგეტიკური თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „თარგმანებად ეკლესიასტისავ“. ეს თხზულება ეკუთვნის მეცხრე საუკუნის ბიზანტიელ მწერალს, ცნობილ არისტოტელიკს მიტროფანე სმირნელს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმ დროის ბიზანტიურ ცხოვრებაში. არავითარი კვალი ამ თხზულებისა ბერძნულ ენაზე არ შენახულა, არც ის იყო ამდენხან ცნობილი, რომ მიტროფანეს ასეთი თხზულება დაუწერია. მისი ქართული თარგმანი შესრულებულია პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში XI-XII სს. „ეკლესიასტე“ ბიბლიურ წიგნთა შორის ყველაზე უფრო ფილოსოფიურია, ამიტომ მისი კომეტარები ფილოსოფიურ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული. მეტად საინტერესოა და დამახასიათებელი მიტროფანეს დამოკიდებულება კლასიკურ ფილოსოფიასთან, მისი ეგზეგეტიკური მეთოდები, კოსმოლოგიურ-ასტრონომიული შეხედულებანი, მისი ანთროპოლოგია, ესქატოლოგია და თეოლოგია. ეს თხზულება, რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული,⁴ ავსებს მეცხრე საუკუნის ბიზანტიის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს.

შემდეგი დარგი ლიტერატურისა, რომელიც იყო გამომავლინებელი ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობისა, არის დოგმატიკურ-მისტიკური და პოლემიკურ-პომილეტიკური მწერლობა. აღნიშნული დარგი დიდად მნიშვნელოვანი იყო ქრისტიან

³ Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. III, Петербург, 1901 г.

⁴ „თარგმანებად ეკლესიასტისავ“ მიტროფანე სმირნელისავ, თბილისი, 1920 წ.

ქართული ცვლილი პიზანტიურ ლიტერატურაში

ერთა ლიტერატურაში. აქ მოცემულია ფილოსოფია ქრისტიანობისა, ცდა მისი შერიგება-შეგუებისა ელინურ ფილოსოფიასთან, ბრძოლა უკანასკნელთან და თვით ქრისტიანობაში წარმოშობილ სხვადასხვა სექტასთან. ეს მწერლობა მთელი მისი სიღრმე-სიგანით გადმონერ-გილ იქნა საქართველოში. აქ მან შექმნა ისეთი ღირსშესანიშნავი კრებული, როგორიცაა არსენ იყალთოელის „დოლმატიკონი“. მწერლობის ამ დარგს შემოქონდა ჩვენში მთავარი მიმართულებანი ბიზანტიური ფილოსოფიისა, როგორიცაა არისტოტელიზმი, ნეოპლატონიზმი. მის ნიადაგზე ცდილობდნენ ჩვენში პლატონიზმისა და არისტოტელიზმის შეთანხმებას. ამ დარგის ლიტერატურაზე იწვროთნებოდნენ ჩვენში, როგორც ეფრემ მცირე მოწმობს, ისეთი წარმომადგენელნი ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნებისა, როგორიც იყვნენ თვით ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე ტარიჭის-ძე, იოანე ჭიმჭიმელი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მიმდინარე კვლევა-ძიება ამჟღავნებს, ქართულ ლიტერატურას ამ დარგშიც არა ერთი და ორი ისეთი თხზულება შემოუნახავს, რომელნიც მათ სამშობლოში — ბიზანტიაში უკვე აღარ ჩანან, ასე რომ ქართული მასალების საშუალებითა და დახმარებით სულ ახალ-ახალი პორიზონტი იშლება ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში.

ფილოსოფიურ-დოგმატიკური დარგიდან უნდა აღინიშნოს ერთი ტრაქტატი ბიზანტიის გამოჩენილი ფილოსოფოსის მიხეილ ფსელოსისა „პირმშოების“ შესახებ, რომელიც მისი სახელით ცნობილ თხზულებათა შორის დღეს აღარ ჩანს, ერთი სიტყვით, დედანი მისი აღარ მოიპოვება. ის ისეთ პრობლემებს ეხება, რომელნიც XI-XII სს. მოაზროვნე წრეებს ძალზე აინტერესებდნენ.

მდიდარი პოლემიკური ლიტერატურიდან, რომელიც ქართულ ენაზე შემონახულა, უნდა დავასახელოთ ერთი ანტიკათოლიკური თხზულება, რომლის დედანი ბერძნულ ენაზე არ ჩანს. ეს თხზულება, რომელიც ლათინთა და ბერძნთა კელებიური გათიშვის საკითხს ეხება, კუთვნის XI-XII სს. მწერალს ევსტრატი ნიკიელს. ეს არის ცნობილი თეოლოგი და ფილოსოფოსი, მოწაფე მიხეილ ფსელოსისა და იოანე იტალოსისა, რომელიც ერთხანს აწუნებულიც იყო ოფიციალურ ბიზანტიურ წრეებში. თუ ჩვენ მხედველობაში გვექნება ის პერიოდი ბიზანტიურ რენესანსისა, როდესაც მიხეილ ფსელოსი და იოანე იტალოსი ბიზანტიელთა კურადღების ცენტრში იდგნენ, ნათელი იქნება, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათი მოწაფის

დღეს უცნობი თხზულების აღმოჩენას ქართულ ენაზე.

მეორე ძეგლი პოლემიკური მწერლობისა, რომლის ბერძნული დედანი დღეს აღარ არსებობს და რომელიც იმპერატორ იუსტინიანე დიდს მიეწერება, არის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „დღესასწაულთათვის“.⁵ ამ თხზულებაში დასმული და გარკვეულია ეორტალოგიური საკითხები, რომელნიც მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში ბიზანტიის აღმოსავლურ ნაწილს მეტად აღელვებდნენ და იმპერიის მთლიანობასაც კი ემუქრებოდნენ.

მდიდარი, მეტად საინტერესო მისტიკური მწერლობის დარგიდან ქართულ თარგმანში შემონახულა ოთხი ავტორი, რომელთა ხსენება ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში მათი თხზულებების დაკარგვის გამო, დიდი ხანია გამქრალა. ესენია: სტეფანე მძოვარი, პიმენი, საპაკი და აბრამ მონაზვნები; მათი შრომები, რომელნიც ქართულად ჯერ კიდევ მეათე საუკუნემდე უთარგმნიათ, საინტერესო მასალას იძლევიან ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების იმ მიმართულების გასათვალისწინებლად, რომელსაც მისტიციზმი ეწოდება.

ესევე უნდა ვთქვათ პომილეტიკური ლიტერატურის შესახებაც. ამ დარგში, რომელიც მდიდრადაა წარმოდგენილი ქართულად სხვადასხვა შედგენილობის „მრავალთავში“, შენახულა ხუთი ისეთი ავტორი, რომელთა კვალი ბიზანტიურ მწერლობაში უკვე აღარ ჩანს. მათ სახელთან დაკავშირებულ თხზულებებში დასმულია უმთავრესად ქრისტოლოგიური საკითხები, რომლითაც მწვავედ იყვნენ დაინტერესებულნი ქალკედონიტთა და ანტიქალკედონიტთა წრეები მეხუთე-მეექვსე საუკუნეებისა როგორც აღმოსავლეთში, ისე ჩვენშიაც. ეს ავტორებია: ტიმოთე იერუსალიმელი, პეტრე იერუსალიმელი, ივლიანე ჭაბიელი, თეოდულე და ალექსანდრე კვიპრელი. მათი თხზულებანი ქართულად მერვე საუკუნემდე არიან გადმოღებულნი.

უფრო შესამჩნევი აღმოჩნდა ძველი ქართული ლიტერატურის წვლილი ბიზანტიის ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული მწერლობის დარგში. მიქელ მოღრეკილის „იადგარი“ და გიორგი ათონელის „მინეონი“ შეიცავენ ისეთ ჰიმნოგრაფიულ მასალას და ისეთი ავტორებისას, რომელთაც დღეს ბიზანტოლოგია არ იცნობს. უფრო საყურადღებოა ლიტურგიკული მწერლობა. ამ დარგში მეცნიერება დიდი ხანია დაინტერესებულია იმ წიგნის ჩასახვითა და თანდათანი

⁵ პ. პ ე პ ე ლ ი ბ ე, კიმენი, ტ. II, გვ. 64-71; პ ი ს ი ვ ე: К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви (Труды Киевской Д. Академии, 1905 г. № 1).

ქართული ცვლილი პიზანტიურ ლიტერატურაში

განვითარებით, რომელიც რეგულიატორია ღვთისმსახურებისა და „ტიპიკონის“ სახელითაა ცნობილი. ამ წიგნის ჩამოყალიბება დაიწყო იერუსალიმში, ე. წ. აგიოტაფიტების წრეში, მაგრამ არავითარი კვალი მისი, გარდა მეექვსე საუკუნის პილიგრიმის სილვია აქვიტანელის ფრაგმენტული ცნობებისა, არ არსებობს პირველი ათი საუკუნის მანძილზე. ქართულ მწერლობაში აღმოჩნდა მთლიანი სახე ამ წიგნისა მეშვიდე საუკუნის რედაქციით. მას ეწოდება „იერუსალიმის განჩინება“ ან „კანონი“, ის გადმოთარგმნილია ქართულად არაუგვიანეს მერვე საუკუნის ნახევრისა და გამოცემულია ჩვენ მიერ.⁶ ამ თხზულების აღმოჩენამა და გამოქვეყნებამ დიდი გამოხმაურება პოვა როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ-ევროპაში, ვინაიდან ის ავსებს თითქმის ათი საუკუნის ხარვეზს ლიტურგიკის ისტორიაში.

უფრო მეტ სამკალს ბიზანტიური მწერლობის ისტორიას ქართული ლიტერატურა აგიოგრაფიის დარგში აძლევს. აგიოგრაფიული ჟანრი მწერლობისა ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული ჟანრია ქართული ლიტერატურისა. მისი პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ აგიოგრაფია წარმოადგენდა არა მარტო „სულთა მარგებელი“ რომანის ჟანრს, არამედ ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგსაც. იმდენადვე მნიშვნელოვანს, რამდენადაც საკუთრივ ისტორიული მწერლობა. აგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც „წმიდათა“ ცხოვრება-მარტვილობას შეიცავს, ავტორებს ისეთი დეტალები და რეალიები დაუტოვებიათ, რაც ნაფიც ქრონისტებსა და მემატიანებს უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე.

ქართველებს ძველად, ჯერ კიდევ მეათე საუკუნემდე, აგიოგრაფიული ლიტერატურა გადმოუდიათ საქრისტიანო მწერლობის ყველა ენიდან, განსაკუთრებით ბერძნულიდან. მეათე საუკუნემდე მათ გადმოულიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ „ცხოვრება-მარტვილობათ“ ე. წ. „კიმენის“ რედაქციისა, ესე იგი უბრალო, მარტივი ენით დაწერილნი. ამ დროს მათ გადმოუთარგმნიათ „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“, სხვათა შორის, ისეთი პირებისაც, რომელნიც მოღვაწეობდნენ ბიზანტიის აღმოსავლურ საზღვრებზე, — სირიასა და დამასკო-ბაღდადის ხალიფატში, — რის გამო ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილნი, ანდა ძალიან მალე მისცემიან დავიწყებას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „ცხოვრება“ ტიმოთე ანტიოქელისა,⁷ იოანე

⁶ К. К е к л и д з е, Иерусалимский Канонарь VII века, Тбилиси, 1912 г.

⁷ გამოცემა ჭ. ვ ვ ლ ი ძ ი ს ა, ენიმეს „მომბე“, ტ. VII, 1-150.

პორცელი კეპელიძე

ურპაელისა,⁸ აგათანგელე დამასკელისა⁹ და იოანე დამასკელისა, რომელიც თავდაპირველად დაუწერია არაბულად მიქაელ შავმ-თელს და უმალვე უთარგმნია ბერძნულად სამუელ აღენელს.¹⁰ არ-ცერთის ამ ნაწარმოების დედანი არ შენახულა, არსებობს მხოლოდ ქართული თარგმანი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს როგორც არაბული, ისე ბიზანტიური მწერლობის თვალსაზრისით.

ჩვენ მიერ გამოცემულია ორი ტომი „კიმენური“ რედაქციის უცნობი აგიოგრაფიული თხზულებებისა, რომელიც ნაწილ-ნაწილ ითარგმნებოდა ლათინურ ენაზე ცნობილი ორიენტალისტის პ. პეტერსის მიერ.

მეათე საუკუნის გასულისათვის აგიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. თანახმად განვითარებული გემოვნებისა და ლიტერატურული მოთხოვნილებისა, ბიზანტიაში იწყება ძველი „კიმენური“ რედაქციის ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შელამაზება. ამან საფუძველი ჩაუყარა ე. წ. მეტაფრასულ აგიოგრაფიას. განსაკუთრებით მდიდრად შენახულა ქართულ ენაზე მეტაფრასული აგიოგრაფიის ძეგლები, რომელთა დედნები დღესდღეობით ბერძნულ ენაზე არ ჩანს.

ქართულ ენაზე შემონახულა არა მარტო თხზულებანი მეტაფრასული აგიოგრაფიისა, არამედ აგრეთვე ცნობებიც იმ პირთა შესახებ, რომელთაც მეტაფრასული მიმართულება შექმნეს ბერძნულ ლიტერატურაში.

ამ მიმართულების მამამთავრად ითვლება გამოჩენილი ბიზანტიელი მწერალი სვიმეონ ლოლოთეტი. საკითხი სვიმეონის მეტაფრასული მოღვაწეობის, მისი ხასიათის, მოცულობისა და დროის შესახებ, აქამდე მეცნიერებაში საცილობელი და გაურკვეველი, საბოლოოდ გაირკვა ამ ბოლო ხანს ქართული მასალების საშუალებით. ჩვენს ძველ მწერლობაში აღმოჩნდა ერთი დოკუმენტი, ჩვენ მიერ ქართულად და რუსულად გამოცემული და კომენტირებული, რომელსაც ეწოდება „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტისა“.¹¹ ამ დოკუმენტიდან, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის, ირკვევა, რომ სვიმეონს გადაუმუშავებია შემოდგომა-ზამთრის (სექტემბერი-იანვარი) თვეთა აგიოგრაფიული ტექსტები და

⁸ К. Кекелидзе, Житие и подвиги Иоанна Урхайского (Хр. Восток, т. II, вып. 3).

⁹ Егоже, Житие Агафангела Дамасского (Хр. Восток, т. IV, вып. 3).

¹⁰ Его же, Грузин. версия арабского Жития Иоанна Дамасского (Хр. Восток, т. III, вып. 2).

¹¹ თბილ. სახელმწ. უნჯ. „მრომები“, ტ. XXX-I ბ., გვ. 37-40; Труды Киев. Д. Академии, Февраль, 1910 г.

ქართული ცვლილი პიზანტიურ ლიტერატურაში

თავისი შრომა 982 წელს დაუწყია. ჩვენ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ გარკვევა იმისა, თუ რომელი სახელდობრ თხზულება ეკუთვნის სვიმეონს და რამდენი, ყველაზე მეტად ქართული მწერლობის საშუალებით ხერხდება.

სვიმეონის შრომის გამგრძელებლის შესახებ მეცნიერებამ ამ-დენსან არაფერი იცოდა. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ქართულად და რუსულად ერთი ქართული დოკუმენტი, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ დანარჩენი შვიდი თვის (თებერვალი-აგვისტო) ტექსტები გადაუმეტაფრასებია ან გადაუკეთებია ერთს, ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში ამდენსან უცნობ, მწერალს ითანე ქსიფილინოსს,¹² რომელიც მუშაობას ამ მიმართულებით 1081 წელს შესდგომია. ეს ცნობა სრულიად მოულოდნელი, ანაზღეული აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებში როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ყველაზე საყურადღებო შეიქმნა ის, რომ ქსიფილინოსს უზარმაზარი შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადა დაცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება.

როდესაც ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურათა შესახებ ვლაპ-არაკობთ, უნდა ერთი მოვლენაც აღვნიშნოთ: იშვიათია ისეთი თხზულება ბიზანტიის ლიტერატურისა, ქართულ მწერლობაში გადმოსული, რომელიც ქართულ თარგმანში რაიმე საყურადღებო ვარიანტს არ იძლეოდეს. ესეც, რასაკვირველია, თავისებური წვლილია, რომელიც ქართულ მწერლობას ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში შეაქვს.¹³

ამრიგად, ქართული წვლილი ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში, პირველ ყოვლისა, ასე წარმოგვიდგება: 1) ქართულ ენაზე შენახულა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანითა შესაძლებელი. 2) ქართულ მწერლობაში შემონახულა ისეთი ცნობები ზოგიერთ ბიზანტიურ მწერალთა შესახებ, რომელიც ავსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებას და შემოქმედებას. 3) ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები

¹² Xp. Восток, т. I, вып. 3.

¹³ ამ თვეს დაწერისას გმოჟენებულია ჩვენი შრომა: „ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი“: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIX, 1941 წ., გვ. 141-152.

პორნელი კეპელიძე

ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი მწერლების შესახებ. 4) ზოგიერთი ნაწარმოები ბიზანტიური ლიტერატურისა ქართულ მწერლობაში შემოსულა ისეთი ვარიანტებით, რომელიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებთ.

მაგრამ ქართული წვლილი ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში მარტო ამით არ ამოიწურება; ქართველები უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ ბიზანტიური მწერლობის საკუთარი შემოქმედებით შევსება-გამდიდრებაში. შევეცდებით ვაჩვენოთ ეს წვლილიც.

2

აპრილულად შეიძლებოდა იმისი თქმა, რომ ის ქართველი მოღვაწეები, რომელიც სხვადასხვა მიზეზით დიდხანს ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ბიზანტიაში და ამის გამო ბერძნულ ენასა და ლიტერატურას ზედმიწევნით სწავლობდნენ, ამა თუ იმ სახით მონაწილეობას ღებულობდნენ ბერძნულ ლიტერატურაში. ყოველ შემთხვევაში ეს დამოწმებულია ათონის ქართული ლიტერატურული სკოლის ფუძემდებლის ექვთიმე ათონელის მიმართ. ექვთიმემ, ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელობითი საქმიანობით, არაერთი თხზულება შემატა ბიზანტიურ მწერლობას. მისი ბიოგრაფი გიორგი ათონელი გადმოვცემს: „თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებად, ვითარცა ნესტკ ოქროვსა დ ხმამაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაც, რამეთუ ბალაპვარი და აბუკურა და სხუანიცა რაოდენნიმე წერილი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად“. ჩვენ არ ვიცით, რა წიგნია, „აბუკურა“ ან რომელია ის „სხუანი წიგნი“, რომელიც ექვთიმეს, თანახმად ამ ცნობისა, ქართულიდან ბერძნულად უთარგმნია. სამაგიეროდ ძალიან კარგად ვიცით, თუ რა არის „ბალაპვარი“.

როგორც არ უნდა შევხედოთ ამ ცნობას, რომელიც მეცნიერებაში ჯერ კიდევ სადისკუსიოა, ერთი ცხადია; ეს ცნობა ჩაისახა ბიზანტიაში და გაზიარებულ იქნა თავის დროს ბიზანტიურ სალიტერატურო წრეებში, მაშასადამე, ის მაჩვენებელია იმ დიდი დიაპაზონისა, რომელიც ჰქონია იმ დროს ქართულ ლიტერატურას: ბერძნები უარს არ ჰყოფდნენ ქართული წვლილის შესაძლებლობას ბიზანტიურ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ექვთიმე და გიორგი ათონელების გარდაცვალების შემდეგ ქართულ ენაზე აღიწერა მათი „ცხოვრება“ და მოღვაწეობა. ამ აღამიანთა ხსენებას ათონზე ყურადღებითა და პა-

ქართული ცვლილი პიზანტიურ ლიტერატურაში

ტივისცემით ეპყრობოდნენ ბერძნები, რომელნიც მათთან სიცოცხლეში იყვნენ დაახლოებულნი. ალბათ მათი თხოვნით და სურვილით დასახელდებული შრომები ვიღაც ქართველს, უეჭველია — ათონზე, უთარგმნია ბერძნულად. ჩვენ ცნობა მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ 1758 წელს ვიღაც კოზმანს გადაუწერია ათონზე ბერძნული თარგმანი ექვთიმეს „ცხოვრებისა“. რაც შეეხება გიორგის „ცხოვრებას“, მისი ბერძნული თარგმანი მოთავსებულია წიგნში, რომელსაც ეწოდება ‚Akolouthia των ἀγιορειτῶν πατέρων. Αμგვარად, ბიზანტიურ მწერლობას ქართული ლიტერატურიდან შემატებია ეს ორი მნიშვნელოვანი აგიოგრაფიული თხზულება.

3

როგორც დავინახეთ, ექვთიმეს ქართულ ლიტერატურაში არსებული თხზულებები უთარგმნია ბერძნულ ენაზე და ამით ერთგვარი სამსახური გაუწევია ბიზანტიური მწერლობისათვის. ახლახან აღმოჩნდა უფრო საყურადღებო ფაქტი: ექვთიმე ბერძნულად ორიგინალურ შემოქმედებასაც ეწეოდა თურმე, ესე იგი ის პირდაპირ ბერძნულ ენაზე წერდა შრომებს.

მართლაც, ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს ქართული თარგმანი ექვთიმეს ერთი ნაწარმოებისა, რომელიც მას ბერძნულად დაუწერია. ამ შრომას ეწოდება: „წესი შუენიერი და პატიოსანი, განწესებული ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთვიმი ქართველისამ, თუ ვითარ ჯერ-არს ცხოვრებად დაყუდებულისამ გინა მარტოდ-მყოფისამ, რომელი-ესე დაუწერა ნეტარმან ბერსა ვისმე, სულიერსა მოწაფესა თვისსა“.¹⁴

ექვთიმეს პყოლია დაყუდებული ან მარტოდმყოფი მოწაფე, ეროვნებით ბერძენი, რომელსაც უთხოვნია ექვთიმესთვის — დაეწერა მისთვის „წესი ცხოვრებისა“. საიდან ვიცით, რომ ეს თხზულება ექვთიმემ ბერძნულ ენაზე დაწერა? ამას გვატყობინებს ის პირი, რომელსაც აღნიშნული შრომა ბერძნულიდან ქართულად გადმოუღია. ამ უკანასკნელს თხზულების სათაურის გაგრძელებად მიუწერია: ექვთიმეს „ხელთა ნუსხისაგან ბერძნულისა გარდამოწერეთ ქართულად, რამეთუ ბერძნისადა დაეწერა წმიდასა მას“. ეს ნიშნავს: ექვთიმეს ეს თხზულება დაუწერია ბერძნისათვის, მე მისი ხელით დაწერილი ბერძნული ნუსხისაგან გადმოვიდე ის ქართულადო. მაშასადამე, ეს შრომა ქართველებისათვისაც იმდენად საყურადღებო

¹⁴ პ. ექვთიმე, ზოგიერთ საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1953 წ., ტ. 51, გვ. 198-203).

პორცელი კეპელიძე

აღმოჩენილა, რომ ის ბერძნულიდან ქართულად უთარგმნიათ.

თხზულება ასკეტიკური ხასიათისაა, მისი მიზანია — გაუთვალისწინოს დაყუდებულ ბერს, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს ის. ის სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეკავოს ბერს თავი, მეორეში — როგორ უნდა ლოცულობდეს ის, ხოლო მესამეში ლაპარაკია სასმელ-საჭმელის რეჟიმის შესახებ. ეს პირველხარისხოვანი საკითხებია საშუალო-საუკუნეთა სამონასტრო და საბერ-მონაზვნო პრაქტიკისა; ამ საკითხების შესახებ მთელი ტომები დაუწერიათ ბიზანტიაში სხვადასხვა პირთ. მით უფრო საყურადღებო და საინტერესოა ექვთიმეს შეხედულებანი ამ საკითხების გარშემო. თუ ბერძნული პრაქტიკა აღნიშნული საკითხების ხაზით უსასტიკეს რიგორიზმს იჩენდა იქამდე, რომ უგულებელყოფდა ადამიანის ფიზიკურ ბუნებას და მოთხოვნილებას, ექვთიმე, პირიქით, დიდ პუმანიზმს ამ-ჟღავნებს. ექვთიმეს „განაწესს“ არ ავიწყდება, რომ მას საქმე აქვს, მართალია, დაყუდებულთან, მაგრამ მაინც ადამიანთან, ამიტომ ლოცვა-ვედრებისა და სასმელ-საჭმელის რეჟიმში ის შედარებით მეტ სირბილესა და დათმობას იჩენს. პუმანიზმის იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ჩვენს ავტორს ვხედავთ, არ ასულა არცერთი წარმომადგენელი ბერძნულ-ბიზანტიური პრაქტიკისა.

როდისაა ამ თხზულების ბერძნული დედანი ქართულად გადმოღებული, არ ვიცით; იქნება ის თანამედროვეც იყოს ექვთიმესი, ამას გვაფიქრებინებს ენა და ტერმინოლოგია მისი, აგრეთვე ის გარემოება, რომ ის გადმოღებული ჰყოფილა თვით ექვთიმეს ხელით შესრულებული ბერძნული ნუსხიდან. ყოველ შემთხვევაში მეთერთმეტე საუკუნეზე უგვიანესი ეს თარგმანი არ უნდა იყოს. ვინაა მთარგმნელი, ვერას ვიტყვით.

ამ თხზულებასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ორი საკითხი იჭრება. პირველი: დასაშვებია თუ არა, რომ ექვთიმეს მოწაფედ ბერძენი ჰყოლოდეს? სავსებით დასაშვები და შესაძლებელია, ექვთიმეს ავტორიტეტი მისი დროის ბერძენთა შორის იმდენად დიდი იყო, რომ, როგორც დღეს ცნობილია, ათანასე დიდს, ათონზე სამოასტრო ცხოვრების ინიციატორს, „ანდერძი“ დაუტოვებდა, რომლის მიხედვით, მისი გარდაცვალების შემდეგ „სულიერ ეპიტორობად“ ან მზრუნველად მისი ლავრისა უნდა ყოფილიყო ჯერ ითანე ქართველი, მერე მისი შვილი ექვთიმე. ექვთიმეს ბიოგრაფი გიორგი ათონელიც ხომ ამბობს, რომ „ზრუნვად (ბერძენთა) დიდისა ლავრისამ, საქმე

ქართული ცვლილი პიზანტიურ ლიტერატურაში

მძიმე და მრავალფერი, მის (ექვთიმეს) ზედვე იყო, რამეთუ დიდსა ათანასის მისდა მიენდო საურავი და დახედვად და განგებად მისი“. არა მარტო ათანასის ლავრის, არამედ „მთაწმიდელთა უფროვსნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურებოდეს“, იქამდის, რომ „არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი, თუნიერ მისისა ბრძანებისა, არარას იქმოდეს, და იშვათი დღე გარდახდის, რომელსა ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მის წინაშე“. თუ მთელი ათონის ბერძნული მონასტრები მის ხელმძღვანელობას ეძებდნენ, რა გასაკვირველია, თუ ცალკეული რომელიმე პირი სთხოვდა მას ასეთს ხელმძღვანელობას და განაწესის დაწერას?

მეორე საკითხი: შეეძლო თუ არა ექვთიმეს ბერძნულ ენაზე დაეწერა მსგავსი ორიგინალური თხზულება? ოდნავადაც არ გვევთვება ეს; ეს მას შეეძლო როგორც საერთო მომზადებით, ისე ბერძნული ენის ცოდნითაც. მის მომზადებას ამ დარგში ხელს უწყობდა მისი უდიდესი ერუდიცია, სხვათა შორის, ასკეტიკური და კანონიკური მწერლობის დარგში; რაც შეეხება ბერძნული ენის ცოდნას, მის ბიოგრაფიაში გადმოცემულია, რომ მამამ მას „პირველად ქართული სწავლად ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“. რადგანაც ექვთიმე ბავშვობიდან ბერძნულს გარემოში და საზოგადოებაში იზრდებოდა, ქართული ენა მას, ბიოგრაფის ცნობით, თავდაპირველად თითქოს იმდენად არ ემარჯვებოდა, რამდენადაც ბერძნული. ექვთიმემ რომ ბერძნული ენა ზედმიწევნით იცოდა, ამას ადასტურებს მისი თარგმანები ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად.

მნიშვნელობა ამ ახლად აღმოჩენილი ფაქტისა მეტად დიდია; ის ყველაზე მეტად გვითვალისწინებს, რომ კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ქართველებისა ბიზანტიასთან არ იყო ცალმხრივი: ექვთიმეს ხელით ქართველებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ ბიზანტიური კულტურისა და მწერლობის სალაროში.

და განა მარტო ექვთიმეს ხელით? დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ სხვების ხელითაც.¹⁵ არაიშვიათი ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის ქართველი, ნებსით თუ უნებლიერ, უცხოეთ-

¹⁵ ამ თქმას ქვება, სხვათა შორის, მ. კახაძის შრომა, რომელიც 1954 წელს გამოვიდა და რომელსაც ქწოდება: „ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“. ამ საფურადღებო წიგნში მაინც არის არ ერთი და ორი ისეთი დებულება, რომლის დასაბუთება გადასინჯვას საჭიროებს. სასურველი იყო, მის თქმასთან დაკავშირებით, გადაეთვალიერებინა აგრეთვე ჩვენი ნაშრომიც: „კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქიკლი ძეველ ქართულ ლიტერატურაში“, თბილისი, 1949 წ.

პორნელი კეპელიძე

ში მოხვედრილი, იმდენად შეზრდია იმ ეროვნებას, რომელთანაც
და რომელშიაც მას უცხოვრია, რომ მეტად თვალსაჩინო მოღვაწე
გამხდარა ამ ეროვნების კულტურული, კერძოდ ლიტერატურუ-
ლი, ცხოვრების ასპარეზზე; განსაკუთრებით ეს ითქმის ბიზანტი-
ის შესახებ. მოვიგონოთ პეტრე იბერიელი, ანტონი სელევკიელი,
თეოფილე ტარსელი, იოანე პეტრიწი, პატრიარქი გერმანე მესამე,
წარმოშობით ლაზი, ანთიმოზ იბერიელი და სხვანი, და სხვანი.¹⁶ ამ
პირთ, რომელთა ქართველობა ოფიციალური ისტორიისათვის უც-
ნობია, უმეტეს შემთხვევაში მაინც, ისეთი მდგომარეობა პქონდათ
უცხოეთში, რომ არ შეეძლოთ მონაწილეობა არ მიეღოთ თავისი
დროის ბერძნულ ლიტერატურაში. სამწუხაროდ, ამ მონაწილეობის
კვალი და შედეგი ზუსტად ცნობილი არაა, მაგრამ ეს ბრალია თვით
ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიისა და არა ამ პირებისა.

1950.



¹⁶ მაგრამ არა ყველა ის, რომელთაც Ἰβηრითიς ქრიდებათ (მ. კაზაძე, გვ. 88). Ἰβηρ- Ἰβηρის და Ἰβηრითის ერთი და იგთვე არაა მნიშვნელობით.